ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N28

20.10.2023 წელი
12:00 საათი

ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
ოთახი 3-01

მიმდინარე წლის 20 ოქტომბერს, 12:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გურამი ოქროპირიძე** (კომისიის თავმჯდომარე), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი) და **ვლადიმერ ბოჟაძე** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი **ირაკლი გვილავა** და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის **3** (სამი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“**
   ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი *(საფუძველი წერილი #12-032329213-03; 19.10.2023წ.),*
   მომხსენებელი - ირაკლი გვილავა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი

მოისმინეს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესებში ცვლილების შესახებ ინფორმაცია, კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა წარუდგინა.

ირაკლი გვილავა - მოგესალმებით, წარმოდგენილი პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა

საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესში (დანართი2) ,,გუნდების/კლუბების ფუნქციონირების ადგილი" ჩანაცვლდება, ,,საქართველოს ჩემპიონატებში ქალაქ თბილისის სახელით მონაწილეობით", აღნიშნული ჩანაწერით მოხდება იმ შემთხვევათა პრევენცია, როდესაც გუნდი/კლუბი ფუნქციონირებს ქალაქ თბილისში, თუმცა საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში, ან საქართველოს ჩემპიონატში არ მონაწილეობს ქალაქ თბილისის სახელით. ცვლილების შესაბამისად, მხოლოდ იმ ქალთა და პარასპორტის სხვადასხვა სახეობის გუნდები/კლუბები დაჯილდოვდებიან, რომლებიც საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში, ან საქართველოს ჩემპიონატში ასპარეზობენ ქალაქ თბილისის სახელით, მათი იურიდიული მისამართია ქალაქი თბილისი, თუმცა ფუნქციონირების ადგილი საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტი.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

გივი ჩხარტიშვილი - ამ ეტაპზე, თუ შეძლებენ დაჯილდოებაში მონაწილეობა მიიღოს მსგავსი შემთხვევის სპორტსმენებმა?

ირაკლი გვილავა - ვეღარ შეძლებენ, რადგან ეს წესი ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საკითხი,

მომხრე - გურამი ოქროპირიძე, გივი ჩხარტიშვილი, ვლადიმერ ბოჟაძე - (3),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - (0).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გურამი ოქროპირიძე